

რიმნიკის ახალად არჩეული ეპისკოპოსის ანთიმოზ ივერიელის მრწამსი - 1705, 17 მარტი¹

ანთიმოზი, ღვთის წყალობით დადგენილი რიმნიკის წმინდა ეპარქიაში ჩემი პირით ვაღიარებ: მრწამს ერთი ღმერთი, მამა, ყოვლისა მპყრობელი, შემოქმედი ცათა და ქუეყანისა, ხილულთა ყოველთა და არა ხილულთა;

და ერთი უფალი იესუ ქრისტე, ძე ღმრთისა მხოლოდშობილი, მამისაგან შობილი უწინარეს ყოველთა საუკუნეთა. ნათელი ნათლისაგან, ღმერთი ჭეშმარიტი ღვთისაგან ჭეშმარიტისა, შობილი და არა ქმნილი, ერთარსი მამისა, რომლისაგან ყოველი შეიქმნა.

რომელი ჩუენთვის, კაცთათვის და ჩუენისა ცხოვრებისათვის გარდამოხდა ზეცით, და ხორცნი შეისხნა სულისაგან წმიდისა და მარიამისაგან ქალწულისა, და განკაცნა.

და ჯუარს ეცვა ჩუენთვის პონტოელისა პილატესზე და ივნო, და დაეფლა.

და აღდგა მესამესა დღესა მსგავსად წერილისა.

და ამაღლდა ზეცად, და მჯდომარე არს მარჯვენით მამისა.

და კუალად მომავალ-არს დიდებით, განსჯად ცხოველთა და მკუდართა, რომლისა სუფევისა არა არს დასასრულ.

და სული წმიდა, უფალი და ცხოველს-ყოფელი, რომელი მამისაგან გამოვალს, მამისა თანა და ძისა თანა თაყუანის-იცემების და იდიდების, რომელი იტყოდა წინასწარმეტყველთა მიერ.

ერთი, წმიდა, კათოლიკე და სამოციქულო ეკლესია. აღვიარებ ერთსა ნათლისღებასა

მოსატევებელად ცოდვათა.

მოველი აღდგომასა მკუდრეთით.

და ცხოვრებასა მერმისსა მის საუკუნესასა, ამინ.

ვცხოვრობ ამის შესაბამისად ასევე ვღებულობ შვიდი წმინდა მსოფლიო კრების დადგენილებებს, რომლებიც მოწვეულ იქნენ ქრისტიანული სწავლებების დასამტკიცებლად. სულით ვფიცავ, გულით ვატარო და დავიცვა ის წეს-კანონები, რომლებიც დაადგინეს ამ შვიდ საეკლესიო კრებაზე შეკრებილმა წმინდა მამებმა, ასევე ის კანონები და სწავლებანი, რომლებიც მოგვიანებით დამტკიცდა წმინდა მამათა მიერ. ხოლო და რასაც წმინდა მამანი უარყოფდნენ, მეც უარვყოფ, და რასაც ისინი იღებდნენ, მეც ვიღებ. ამგვარადვე ვაღიარებ და პირობას ვდებ, დავიცვა მშვიდობა ეკლესიისა და მთელი ჩემი სიცოცხლის განმავლობაში არასგზით ფიქრად არ გავივლო რამე მის წინააღმდეგ, არამედ მთლიანად მივყვე რწმენით და დავემორჩილო მის მაღალყოვლადუსამღვდელოესობას, სრულიად უნგროვლახეთის მიტროპოლიტსა და მთავარეპისკოპოსს, უფალ² თეოდოსიოსს. ეპარქიაში. ამგვარადვე, ვფიცავ უფლის შიშითა და სიყვარულით ვმწყემსო ჩემზედ მონდობილი პირმეტყველი სამწყსო წმინდა კანონთა და წმინდა სწავლებათა თანახმად მთელი ჩემი ძალისხმევა მივმართო რათა დავიცვა იგი სიწმინდეში, ყველა უსჯულო და ეშმაკეულთა ბოროტებისგან. აგრეთვე ვაღიარებ უნგროვლახეთის სამღვდელმთავრო ტახტის წეს-ჩვეულებებსა და სამართალს და ვფიცავ, დავიცვა იგი უცვალებლად ჩემს მთელ ეპარქიაში.

*ანთიმოზი, წყალობითა ღვთისა რომნიკის წმინდა საეპისკოპოსოს ეპისკოპოსი,
პირადად ვაწერ ხელს.*

კომენტარები:

¹ ხელნაწერი N 4972 კრებულიდან BAR (გამოუცემელი), ფ.28v. თარგმნილია ბერძნულიდან თათია მთვარელიძის მიერ. ტექსტი ინახება რუმინეთის მეცნიერებათა აკადემიის ბიბლიოთეკის კოლექციაში. ხელნაწერი # 4972. ჩანართი 28v. Manuscrisul 4972 din Colectia Bibliotecii Academiei Române, fila 28 v. შედარებულია რუმინულ ტექსტთან დეკანოზ ალექსი ქშუტაშვილის მიერ. კრებულიდან- ანთიმოზ ივერიელი; წერილები, ბუქარესტი, გამ-ბა ბაზილიკა, 2016. გვ. 27-29. Scrisori / Sfântul Antim Ivireanu ; lucrare publicată cu binecuvântarea Preafericitului Părinte Daniel, Patriarhul Bisericii Ortodoxe Române ; ed. îngrijită de Arhimandrit Mihail Stanciu și acad. Gabriel Ștrempel. - București : Basilica, 2016

² რუმინულ ტექსტში გამოყენებულია სიტყვა „chir“ Kir-მეუფე, რომლიც ბერძნულში გამოიყენება. დღევანდელ რუმინულში ეს სიტყვა აღარ იხმარება.